

: გუშაბი :

№ 1.

იუმორისტული-პოპულიარული ლექსისი.

ფოსტის ადრესი: Тифлиси, Тип. „Сорапач“
Ал. Мумладзе.

„გუშაბი“



მლოდინუი. სურ. ედუარდ ბისსონისა.

სალამო არის, დაქრის ფერი,
ხარობს ბუნება მინაზებელი,
და მას მკრთალ სხევით ციდან დასცქერის
თვით მოკმციმე ვარსკვლავთ კრებელი.
უღარდფლობით გარე-მოცულნი
ტკბილ ძილის პირულს ნაზათ მღერიან
და ნელათ მავალ ღამისა გუშავს
მოშობივმელათა ელიმებიან.

მაგრამ ფერ-მკრთალსა ღამისა გუშავს
ვარსკვლავთ სიმღერა არ ეყურება,
დაბა-ქალაქებს მწუხარეთ დასცქერს
და კმუნვის ნისლში მთლათ აბურება.

ხედავს—ერთის მხრივ, სრა-სასახლენი
ქალ-ელექტრონით გაბრწყინებულან
და ბეთჰოვენის სიმღერებითა
როიალები ამქუხრებულან.

ძვირფას სამოსში გამოწყობილნი
განცხრომის ძენი ლხინს მისცემიან
და ენებით მოვრალნი თავ-დავიწყებით
ერთუერთს ჰკოცნიან, ზედ აკედებიან.

ხოლო იქვე კი, მათსა მახლოდლათ,
ღარიბთა ქოხნი ძილს მისცემიან
და კორ-ვარაზნი—დღით განაცადნი—
საბრალოთ ძილშიც ეზმანებიან.

სძინათა მავგრალთა... შოლოდ ხან-
ღისხან

ბნელსა ქუჩებში ვილაც ჩნდებიან,—
გულ-ანაძვერნი, და ფეურ წასულნი
გამვლელ-გამოვლელს ელოდებიან...

—ეს შეიღებია ამ ბნელ უბნისა
და ორ-სამ გროშზე თავსა ჰყიდიან,
იმა იმედით, რომ სიმშლისგან
ცოტათი შაინც დაოკდებიან.

მაგრამ დაძვედეთ! წყეული ზედი
აქაც არ სწყალობს პიერსა მათვანსა,—
მუჭტრება შოლოდ ღამაზნი მიჰყავთ
და ფერ მიხილვებს უვლიან განსა.

ხედავს გუშავი ამა სურათისა
და მწუხარების ბურუსში ბნდება,
ცოტათი შაინც სანუგეშებლათ
მკრთალის ნათელით თავსა ევლება.

ირვლივ კი ცისა ვრცელსა ეთვრში
ვარსკვლავთ კრებულნი დასრილვებენ
და სასიმღეროთ, დროს სატარებლათ
მთვარეს კვლავ თვისკნ შოიწოდებენ.

დ. თურდოსპირელი.

5 268



რ ე ლ ა მ ა ნ ა ხ ი ს ა ნ ე

სხვადასხვა ტენიკურ დაბრკოლების გამო. ამ ნომერში დასაბუქდათ გამაზღვებული წერილი ბ-ნ ისე რაქველისა არ იბუქდება. აგრეთვე არ იბუქდება ამ ნომერში „ქალთა ურთიერთ დამხმარე საზ. წესდების პროექტი“.

რ ა შე ს ჯ ე ლ ლ ო ბ ი ს ა ნ ა დ ლ ე ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ქ ა ლ ი ს უ ფ ლ ე ბ რ ი ე ბ ა თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ ა ს ე .

ეს კითხვა არამც თუ ყველასათვის საყურადღებოა დღეს, არამედ ყველა ჩვენგანი მოვალეა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ კითხვის გამოარკვევას.

„ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქალი უფლებრივად გაუთანასწორდეს მამაკაცს, თორემ, თუ მართლა ეს სიტყვები გაპართლდა და ქალი შეიქნა მამაკაცის სრული უფლებითი თანასწორი, მაშინ შვეიდობით, — კაცობრიობა არა თუ განათლება-აყვავების გზას დაადგება, არამედ დაღუბვა-გარყვნილების მორეცში დაიწყებს ყურყუმალს! — ასეთია აზრი დღევანდელ საზოგადოების ერთი ნაწილისა, რომელთა რიცხვაც ბურჟუაზიულ საფერებში უფრო მეტია. თითქმის ყველა მათგანი იმ აზრისაა, რომ დედაკაცის უფლებრივად გათანასწორება მამაკაცთან ყოვლად შეუძლებელია, რადგან, მათის აზრით, დედაკაცი ღირსი არ არის მამაკაცთან თანასწორობის: ქალი ყველა სუსტია ყოველგვარ საქმეში და თავის სისუსტით ზნობით მთელ ოჯახს დაღუპვის გზაზე დააყენებს. ჩვენ კარგათ ვიცით ბურჟუაზიის სულის კვეთება. გვესმის მათი გულის წყრომა, ვიცით რა მიზნითაც ამბობენ ისინი ამას, მაგრამ ჩვენთვის საშუალო და სავალალო ის არის, რომ ბურჟუაზიასთან ერთად ზოგი ერთი პირები, რომლებსაც ჩაგრულთა კლასის დამცველად მოაქვს თავი, ამავე აზრს ადგანან. არა ერთი და ორი შემიხვევია მქონია ყური დამეგლო ზოგიერთ მუშებზეთათვის, რომლებსაც არა საიმედოდ მიაჩნიათ ქალების მამაკაცებთან ყოველ გვარ უფლებრივად გათანასწორება, რადგან მათი აზრით, ქალების ასეთი თავისუფლება არ გამოიღობს სასურველ ნაყოფს. მათი გულუბრყვილობა იმდის მიდის, რომ ამასაც კი ფიქრობენ: „თუ ქალი მამაკაცს არ დაემორჩილა, თუ მან თავისუფლად დაიწყო მოქმედება მამაკაცის დუკობიანად და თავის სურვილს აყვა მაშინ ის განსაზღვრულ საზღვრებს გადასცდება, — ოჯახს უკუღმა დაატრიალებს. მერე

მართლია ყველა ეს? რასაკვირველია არა! ქალის მამაკაცთან გათანასწორება სრული უფლებით, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიურად იმას კი არ ნიშნავს, რომ ქალმა თავის სურვილისამებრ იმოქმედონ და მით ოჯახი დაღუპვის გზაზე დააყენონ, არამედ ეს მოასწავებს კაცობრიობის აყვავებას, მის განახლებულ გზაზე დაყენებას, რადგანაც ოჯახის წარმატებისათვის და მის საკეთილდღეოდ ერთნაირი მისწრაფებით იზრუნავენ კაცი და ქალიც და მთელი საზოგადოებაც; რომელიც ანგარიშს გაუწევს ამა თუ იმ პირს, — საზოგადო წესიერების დარღვევის დროს. რ. ც უნდა უმტკიცო ამ გულუბრყვილო პირებს ჩვენი შეხედულება სრულ უფლებრივ გათანასწორებაზე, ისინი მიიწე თავისას გაიძახიან: „გახსოვს თუ არა 1905 წელი, როდესაც დროებითი თავისუფლება მოვიპოვეთ? მოიგონეთ მაშინდელი ახალგაზდა ქალების საქციელი, საზღვარს რომ გადასცდნენ: ავტორიზაციონ ვიღაც არა მკითხველს ვაძევებს, როგორც ჯვარ დაწერილ ქმრებს და ამითი თავი დამიქირებს, რადგანაც ბოლოს ვაძევებსაცან მოტყუებულ ბული დარჩენო“.

მაგრამ ამ ვებატონებს ავიწყდებათ, რომ, თუ მაშინდელი თავისუფლება ქალებმა ბოროტად გამოიყენეს, — ეს მოხდა იმავე ყმაწვილ-კაცების წყალობით, რომელნიც ცბიერად ფიციებოდნენ სინიდის და წმინდა სიყვარულს; პირობას აძლევდნენ სიკვდილამდის ერთად ეცხოვრათ, მაგრამ შემდეგ დრონი იცვალნენ და მათაც უღალატეს თავის სინიდის, დასტოვეს პატროსების გზა და ის ახლგაზდა ქალები, რომლებსაც ვაბედნიერებას პირდებოდნენ, ნამუს ახდელი და სახელ დამცირებული ქუჩაში დასტოვეს. და ნუ თუ ყველა ამაში ქალები იყო დამანაშავე? რატომ არ მიაქცია ასეთ მოვლენას საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება? და თუ მიაქცია, რისთვის დარჩენ ის ახალგაზდა ქალები საზოგადოებისაგან უყურადღებოდ დატოვებული? ცხადია, რომ თვით საზოგადოებ, ყოფილა ამაში დამანაშავე. ქალები, რომ უფლებრივად ყოფილიყვენ მამაკაცებთან თანასწორი, მაშინ ხომ არ მოხდებოდა ასეთი სამარცხვინო საქმე? და თუ მოხდებოდა, მაშინ საზოგადოება მოსთხოვდა პასუხს დამანაშავე პირს. თვით ქალებიც ხომ მოითხოვდნენ დამანაშავე პირის ვასამართლებას? აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ეს დასკვნა, რომ კაცის და ქალის უფლებრივი თანასწორობა არა თუ შეუძლებელია, როგორც ამას ისინი ამბობენ,

არამედ, ვისაც უნდ კაცობრიობისათვის კეთილი რამე, ვინც მსურველია თავიდან აიცილოს ცხოვრებას სიღუბეში უნდა ცდილობდეს, რომ ყველა განურჩევლად პიროვნებისა და სქესობრიობისა ერთნაირ უფლებით იყეს აღქმულია, რომ უფრო ადვილად მიახვედნენ სასურველ მიზანს. თვით ქალებშიაც კი მოიპოვებიათ „ურწმუნო თომანი“, და უფლებრივი თანასწორობა დამღუბველად მიიჩნიათ. ზოგიერთა გულუბრყვილო მანდილოსანი ბრძანებს: „რა ვეცაკცია ის მამაკაცი, თუ მას დედაკაცი არ დემორჩილება? ქალი ქმარს იმიტომ მიყვება, რომ ეს უკანასკნელი ქალის პატრონიცა და ბრძანებელიც იყოს!“ ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენც შეგვიძლია გვეთქვა იმ თავისუფლების უფარვისობაზე, რომლისათვის ბევრი უშანკო სისხლი დაღვარა კაცობრიობამ. ამ მანდილოსნებს ვერ შეუგნიათ, რომ თავისუფლებას განსაზღვრულ პირობებში აქვს. რომ ის ერთი კაცის სურვილზე არ არის დამოკიდებული! რომ მას ვერავინ ბოროტად ვერ გამოიყენებს. და თუ ეს ასეა ქალის მამაკაცთან უფლებრივი გათანასწორება, არამც თუ დამცირების მის ღირსებას, არამედ ააპალღებს მას სულიერათა და ზნეობრივითაც, რადგანაც ყველა დამანაშავე პირს თვით საზოგადოება მოსთხოვს პასუხს და თვითვე გააჩვენებს მტყუან-მართალს...


ი. გ — ელი.



მ მ გ ო ბ ა რ ს .

როს ვით მწირი, ანატორი
დადილი გულ-მოკლული,
უიმედო,
მოშავებლო.
შემომკენესდა სული, გული, —
როს ნუგეშით არსით სჩანდა
მეგობრობის თანამგძნობი
და სიცოცხლე სიკვდილს ჰგავდა
გრძნობის მქვენი, დაუნდობი, —
აი, ამ დროს,
დროს სანატროს
გპოვე ქმუნვა-სეველის მქრობლით...
ჰქრება ზნელი,
საშინელი,
როს შენ ძყევხარ მანათობლად.
და მას აქეთ, ვით ფარვანა,
დაეტრიალებ ამა სოფლად:
შემეყვარე ქვლავ ქვეყანა —
აღარ ვგრძნობდენ თავსა ოზლად.

გ. ქუჩიშვილი.



ნოტორი იყო კაპიტანობის სასო- ვალობრივი ცნაურების ოჯახი უძველეს ეპოქაში.

(კოვალკისკის).

I

რომ ვისმეს მოსურებოდა და გასწო-
ბოდა უწინდელ, პირველ-ყოფილ ოჯა-
ხის თეორიას, იგი საცხები დაიკაყო-
ფილებდა. თავის ცნობის მოყვარეობას,
თუ მიმართავდა ერთ-ერთ იმ მრავალ
რიტუალურ სხეულმდევანელოთ, რომელ-
ნიც ამ ოცი წლის წინათ, ყოველ სემე-
სტრის დასაწყისში სასურველად გვიძღვნა
განათლებულმა გერმანიამ. გერმანელი,
ემყარებოდნენ რა რომელი იურისტ გაის
ტექსტებს, სადაც აღწერილი იყო ოჯა-
ხის უფროსის უფლებები და ნათესაური
შემადგენლობა და ცეზარის ანტიულ
ცნობებს ძველ გერმანელებს ყოფი-ცხო-
ვრებაზე, უკვე დამტკიცებულათ მიაჩ-
დათ, რომ ეხლანდელი ინდივიდუალუ-
რი ოჯახი უძველეს დროიდან არსებობ-
და, რომ სახელმწიფოებრივი და ნა-
თესაური კავშირის მიხედვით ფორმები აღ-
მოაყენა საზოგადო ცხოვრების სწორედ
ამ აქენის შუა გელმა—ე. ი. ინდივიდუ-
ალურმა ოჯახმა.

შვედის, არენის და მოლის მომ-
ღებების მეზობლით, მეცნიერებაში ფხვი
მოიკიდა იმ შეხედულებამ, რომ ეგრედ
წოდებული პატრიარქალური ოჯახი არ-
სებობდა უსივარე დროიდან. ზოგ შემ-
თხვევებში ბევრი გაცხარებით უარს
ყოფდა იმ ზოგად ცნობებს, რომ ვითომ
ბევრ ველურ მუდღელთა შორის არ იყო
დაკული ცოლ-ქმრული კავშირის სიმ-
ტკიცე. ამასთანავე არც ერთ მეცნიერს
არ მიუტკიცებია ჯეროვანი ყურადღება ამ
გარემოებისათვის.

ძველ დროის ისტორიკოსთა და გეო-
გრაფთა მოთხრობანი ისეა შეთანხმე-
ული თეორიისთან, რომ არაკისებური ხა-
სითი აქვს. მხოლოდ რაც უწყებდა ე-
მურთა შორის სქესობრივ თავისუფლე-
ბის დამოკიდებულებას, აქისინი მხოლოდ
ხედავდნენ „ბუნებრივ სიწმინდის“ ზნე-
ობისადმი საშუალო ზურგის შექცევას.

ბახოფენმა და მაკოლენანმა, პირველებმა
გამოკვლევს ნიადაგი ეგრედ წოდებულ
პატრიარქალურ თეორიის მნიშვნელობას
და დაგვანახეს თუ რა ფანტასტიურ სა-
ფუძვლზე იგი დამყარებული. მათ მიერ
მოყვანილ მეთუი რიგი სარწმუნო წყა-
როების ცნობებით; პირველთ უარყვეს
კაცობრიობის პირველ-ყოფილ ხანაში
პატრიარქალურ ოჯახის არსებობა.

ბახოფენი გაეცნო რა კლასიკურ ქვე-
ყანას, ცდლობდა მითოლოგიის შემოყე-

ლობით გამოერკვია საზოგადოებრივი ყო-
ფა ცხოვრების ძველის-ძველი ფორმები.
ის ღრმით დააწმუნდა რომ, გამოხატუ-
ლებანი, რომელნიც ადამიანის წარმო-
დგენით ღმერთებთან ითვლებოდნენ, თვით
ადამიანის მდგომარეობით იყვენ გამოგო-
ნილნი და ისინი მხოლოდ უძრავი მიფები
იყვენ. ამითი ბახოფენმა დაასკენა, რომ,
აქედან შესაძლებელი იყო შეკრებილიყო
მთელი რიგი ცნობებისა ადამიანთა ცხო-
ვრების ყოფა-მდგომარეობაზე.

მაკოლენანის აზრით, ევლურების აწინ-
დელი მდგომარეობა გვიხატავს ჩვენი
წინაპრების ცხოვრებას ისტორიულ ხანა-
მდის; ამის დასამტკიცებლათ იგი გვიჩვენ-
ებს იმ მოთხრობების ერთგვარობაზე,
რომელიც ახალ დროის მოგზაურებსა
და გეროლოტის, სტრაბონის და სხვათა
ძველ შუა საუკუნეობის მწერალთა შო-
რის არსებობა. პირველ-ყოფილ ოჯახის
შესახებ გამოგონილ ახალ თეორიას არ
უჩვენებია ნათესაური და ცოლ-ქმრულ და-
მოკიდებულების დაწერილებითი აღწერა,
ლუის მორგანმა საფუძვლიანად აღწერა
იროკეზთა ცხოვრების ნათესაური სის-
ტემა და შეუღლების ფორმა. აგვარსავე
ცნობებს იძლევა ავსტრალიელების ყო-
ფა მდგომარეობის შესახებ ფიზიკი.

ჩვენ ვიცით, რომ ინდივიდუალურ
ოჯახის და მისი სისტემის და ცოლ-
ქმრულ ნათესაურ დამოკიდებულების
ნაცვლად, კაცობრიობის დასაწყისის სა-
ზოგადო ცხოვრების ხანაში არსებობდა
დედამთავრული, ანუ პატრიარქალური
ოჯახი, რომელიც გარდა დედა-შვი-
ლისა და დედის მხრივ ნათესარი შუთა-
მომავლობისა, სხვა არავითარ კავშირს
არ სცნობდა. ის მკვლევარნი, რომელ-
ნიც ატაკებულნი იყვენ თანამედროვე
ოჯახის თეორიით, რამდენიმეჯ გვერდს
შეხვედნენ,—გამოეაშკარავებინათ პირველ
ყოფილი მეუღლეობრივი და სქესობრივი
დამოკიდებულების სინამდვილე. ასეთ
დამოკიდებულებას აძლევდნენ ისეთ ტე-
რმინს, როგორც არის უწყსრივო სქესო-
ბრივი დაფოკიდებულება და მტეტერიზმი.

ევლურების და ბარბაროსების ზნე-ჩვე-
ულება მოითხოვს, რომ ახლათ დაბადე-
ბული იმ ჯგუფს (ррyна) მიეწეროს,
რომელსაც დედა ეკუთვნის. თვითული
წვერი ასეთის ჯგუფის ანუ „გროუპის“,
ატარებს ერთ საზოგადო სახელს,—სახელს
მტენარისას ან პირტუციისას, და ამ მტე-
ნარის ანუ პირტუციის სახელს იგინი
სივლიან თავიანთ საღმეთო მფარველათ
ანუ ოკეანელებისებულათ — ტრატემათ.

დედათა ოჯახის გამოკვლევის შემდეგ
უფრო საყურადღებო მოვლენამ იჩინა

თავი: ეს მოვლენა არის ეგრეთ წოდებუ-
ლი „ეპიკოგამია“ ე. ი. სქესობრივი დამო-
კიდებულების აკრძალვა იმ სოციალურ
ჯგუფის წევრთა შორის, რომელნიც
ატარებენ ერთ სახელს,—ნიშნულ წარმო-
შობლ ნათესაობა ი და ეს „ეპიკოგამია“
ყოველგვარ ექვს გვიუხატავს, რომ ძვე-
ლად არსებულიყო უწყსრივო სქესო-
ბრივი დამოკიდებულება. ორივე ეს მო-
ვლენა ჩვენ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ
ადამიანთა საზოგადოების აღმოცენების
დროს, სქესობრივი დამოკიდებულება
დაწყარებული არ იყო რომელიმე კერძო
პირივნების შეხედულებათზე, არამედ ის
დამოკიდებული იყო ზნე-ჩვეულებათზე,
რელიგიათზე და მორალზე.

პირტუციების სოციალურ ცხოვრების
წესწაელის მეოხებით და განსაკუთრებით
კი ხერხემლიან ცხოველებს შედარებით
გამოირკვა ოჯახურ წრეების არსებობა.
დარკინმა გამოთქვა ის აზრი, რომ
ყოფა-ქცევის წეს-რივი თვით ცხოველ-
შიაც კი დატულია, მაგრამ ჩვეულებრი-
ვად ამას ასე არ ფიქრობენ. მან დამატ-
კიკა, რომ პირტუციების სქესობრივი
დამოკიდებულება საცხებით ბუნებრივთ
სწარმოებს, რაც გვაფიქრებინებს მათში
ოჯახურ დამოკიდებულების არსებობას,
თუ გინდ ეს თვით ჩასახვის მდგომარეო-
ბის თვალსაზრისითაც რომ გავსინჯოთ.

დარკინის დაწყებული შრომა ვანაგ-
ძეს ესპინაზ გეზოზ და სხვა ბუნების-
მეტყველებმა, მათ შეკრიბეს ფაქტები,
რომელნიც მეტეტერნოს შეხედულებით,
ძნელად დასარღვევია, და დასკვნეს ის
აზრი ზოგჯერ რომ ცხოველთა სამეფოში
არსებობს პატრიარქალური და უფრო
ხშირად მატრიარქალური ოჯახი.

დედალი შეადგენს თითქმის ჯგუფის
ცენტრს, მისი სიყვარული ბარტყებისად-
მი უფრო ძლიერია ვიდრე მამლისა და
ეს სიყვარული იქამდის ძლიერია, რომ
თავ-განწიოყამდისაც კი მიღის.

იმ მისიონერთა და მეცნიერთა შრო-
მამ, რომელნიც წითელ კინაიუნხსა და
ავტრალიელბ შორის დასახლდნენ და
შესიწავლეს მათი ზნე-ჩვეულება და ენა,
არამედ თუ მთლად არ დამტკიცეს ნამ-
დვილი არსებობა იმ ექვეისა, რომელ-
ნიცა დასტურებენ უწყსრივო დამოკიდე-
ბულების არსებობას, არამედ კიდეც გა-
მონახეს შინაგანი ორგანიზაცია ამ გამო-
კანულ საზოგადოებაში.

ფიზიკი — ეს დაუღალავი ინკლინელი
მისიონერი და ავსტრალიელების ყოფ-
სიტყვების მეფალყურებ—პინახს, რომ
მათი ოჯახობრივი წყობილება უფრო
წაადგეს ცოლების საზოგადოებრივობას,
რომლის არსებობათზე ხშირად ჰქვია კა-

მათობდა. შემდეგ განაგრძობს, რომ ყველაზე უმცველესი ის ოჯახობრივი ორგანიზაციებია, რომელიც თავიანთ სიძველით ცნობილი იყვნენ ასეთ ორგანიზაციებში შესაძლებელი იყო ერთი თვის არსებობა. მხოლოდ შემდგარის ქალებისა და კაცების ორი ჯგუფისაგან, ანუ გრუნისაგან.—თვითიული მათგანი ატარებს ერთ საზოგადო ოჯახის სახელს, ეს ორგანიზაცია სცნობს ნათესაობას მხოლოდ მართო დედის შხრით და კრძალავს სქესობრივ დამოკიდებულებას ერთი შორისთან.

კამილაროი, მათ უგამბარში მცხოვრებნი საშხრუ ავსტრალიისა, იყოიან მხოლოდ ორ ჯგუფად, ეს ჯგუფები გვაგონებს კლანთა მოღმას, ანუ რომის Tewes-ს კუმიდის ჯგუფს და კროკის ჯგუფს, მხოლოდ ერთიცა და მეორეც შესდგება მათ კაცებისა და დედაკაცებისგან. ამ ორ ჯგუფს ერთი მეორესთან შეუღლება აკრძალული აქვთ. ისინი იწოდებიან ეკზოგამიის ჯგუფებსა. ამავე დროს თვითიული მათა კაცი კუმიტის ჯგუფებიან კროკის ჯგუფის დედაკაცის ქმრათ ითვლება. ბავშვთა რომელიც დაბადდება რომელიმე კროკის ჯგუფის ქალს, რომელიმე კუმიტის ჯგუფის მამა კაცისაგან, ითვლება კროკის ჯგუფში, ხოლო ის ბავშვი, რომელიც დაიბადა, რომელიმე კროკის ჯგუფის მამაკაცისა და კუმიტის დედაკაცისაგან, ეკუთვნის კუმიტის ჯგუფს.

ყოველი ბავშვი თავის დედის წოდებას ატარებს და ხდება მის ჯგუფის წევრად. არც ერთს ჯგუფს არა აქვს განსაკუთრებული ტერიტორია, — ისინი სცხოვრობენ ერთსა და იმავე სოფლებში, რის მეოხებითაც სასესებო შესაძლებელია დროებითი კავშირი კუმიტის ქალსა და კროკის შორის, რომელიც არასოდეს თავს არ ანებებს იმ ალაგს, სადაც დაბადებულია. თვითიული კროკი აღქურვილია ყოველგვარ იმ უფლებით, რაც კი შვიტაგს ყოველგვარ მუქდროებითი უფლებებს, და ეს აერთებს კუმიტის დედაკაცებს კროკის მამაკაცებთან, ამ გვართვე აერთებს კროკის დედაკაცებს თვითიულ კუმიტის მამაკაცთან. აქედან წარმოდგა ის ჩვეულება, რომ სტუმარს, როცა ის იწვევს, მის სრულ განკარგულებაშია დედაკაცი მიართვან. ეს მოვლენა იწოდება ჰეტერიზმით. ამ გვარი სტუმართ მოყვარეობა ეხლაც გავრცელებულია აზიისა და აფრიკის ადგილობრივი მკვიდრთა შორის, განსაკუთრებით კი კავშირში და ციმბირელ კორაკთა და ჩუქჩთა შორის.

ჰეტერიზმული სტუმართ მოყვარეობა პირველში ან იწვევს უწესრიგო სქესობრივ ცხოვრებას, რადგან დროებითი კავშირი სტუმარის შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოვლენა შეხლულდეს აკრძალვის წინააღმდეგ არ არის მიმართული. მამაკაცი კუმიტის ვერავითარ ვერ შეკავშირდება დედაკაცი კუმიტთან, რადგან ეს უკანასკნელი დასავით ითვლება. სულ სხვა საქმეა, თუ იგი ეკუთვნის კროკთა ჯგუფს. კროკი ქალი დარწმუნებულია, რომ კუმიტ მამაკაცსა და მის შორის არ არსებობს პრაგმატიკი ნათესაური კავშირი, მაშინ იგი თითონვე უერთდება იმის ცოლების რიცხვს.

ეკზოგამია სასტიკათ არის დაკული ავსტრალიელების მოღმამში, ისე რომ თვით მომტაცებელიც ვერ ბედავს შეიტნეს მოტაცებულ ქალის ქმარი, თუ იგი მათ მოღმას ეკუთვნის.

თვითიული მამაკაცი, რომელიმე ჯგუფის ანუ ჩამომავლობისა, ქმარა ყველა მეორე ჯგუფის დედაკაცს და, რადგანაც ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ შეუღლება არსებობს არა ერთიულად შორის, არამედ მთელ ჯგუფებს შორის.

აღნიშნოთ კიდევ პირველყოფილი ოჯახის ერთი თვისება: მუღლებსათვის განსაზღვრული წლოვანება საჭირო არ არის.—თვითიული ინდივიდი, რომელ სქესსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, დაბადებითი უფლების მიხედვით, შეუძლიან გახდეს ცოლათ ანუ ქმრათ, რადგან შვილები ეკუთვნიან ყოველთვის დედის შთამომავლობას. ამიტომ ყოველი კუმიტის იოვლება ყველა კროკის ბავშვების მამათ და თვითიული კროკი—ყველა ვაჟების და ქალიშვილების მამათ.

მოღმამათ დაყოფა ორ ეკზოგამიურ ჯგუფად: რომელიც უფლებას იძლევა დაბადებული მიეწეროს დედის შთამომავლობას, ფებს იკიდებს არა თუ ავსტრალიელებ შორის, არამედ ახალ ბრიტანელთა, აფრიკანელ სხვა და სხვა ტომის მცხოვრებთა და ვალსთა შორის.

ერთ რომელიმე ჯგუფის შთამომავლთ უფლება ეძლევათ შეუღლდნენ სხვა მოღმის ჯგუფთან, უკეთუ ისინი ეკუთვნიან სხვა მოღმის ჯგუფს. ამ ჯგუფის ოჯახის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს აგრეთვე საყურადღებო როლი, რომელსაც ბიძა (დედის ძმა) თამაშობს.

ვინაიდან მამა ეკუთვნის სხვა შთამომავლობას, ვიდრე მისი ცოლი და შვილები, ამიტომ იგი მათ იწვეითად ჰხედავს, ამიტომ შვილებისა და მამის და ქმარსა და ცოლს შორის არ შეძლება იყოს დამყარებული ახლო დამოკიდებულება. მამისა და ქმრის ადგილს ამ შემთხვევაში იჭერს ბიძა დედის შხრივ, რომელიც სცხოვრობს თავის დის და

მისი შვილების ახლოს ბავშვები ითვლებიან ბიძის მფარველობის ქვეშ და ეს უკანასკნელი უწევს მათ ყოველგვარ პატრონობას. ამიტომ არის რა, ოკეანეებებსა და წითელ კანიანებ შორის პირველი ადგილი ნათესაურ სისტემას უკავია. მალაელების ოჯახი დედისა და შვილებისაგან შესდგება, მამა ამ ოჯახის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. იგი თავის დებთან და ძმებთან უფრო დაახლოვებულია, ვიდრე თავის ცოლშვილთან. მალაელ ქალთან შეუღლების შემდეგ ის კიდევ განაგრძობს თავს დედის ოჯახში ცხოვრებას და მის საყანე მინდვრების დამუშავებას. ოჯახის სათავეში უდგია დედის უფროსი ძმა. მას ყოველგვარი უფლებები აქვს მინიჭებულ და თავის დის შვილებისთვის დიდ მოვალეობას სწევს: რაც კი მამისაგან მოითხოვება. ბიძის სიკვდილის შემდეგ მთელი უფლება გადადის ყველაზე უფრო კი დედის მახლობელ უფროს ნათესავზე. უკეთუ ოჯახს არ მოეძებება არც ერთი წლოვანი მამაკაცი, მაშინ ოჯახის უფროსად ითვლება დედა. მამა მხოლოდ მაშინ მფარველობს შვილებს, როდესაც ისინი ბავშობიდანვე დარჩიან უდღელთ და არც დედის ძმა ყავთ. თავის ცოლშვილის შესაბამთ მამა არაფერს არ ხარჯავს, ისინი თავის ოჯახის შემოსავლით ცხოვრობენ, რომელსაც საერთო, განუყოფელი ქონება აქვს. პირადი ქონება მალაელებისა მეკვიდრებით მის ძმებსა და დებსა რჩება და არა მის ცოლსა და შვილს.

თუ ვისმეს საჩუქარი უნდა ცოლისთვის ან დედისთვის, ამის ნებართვას დისაგან და მისაგან უნდა იცხადებ. მალაელი ვაჟი მოკლებულია მამის მემკვიდრეობას, რადგან ეს უკანასკნელი დედის ძმის შვილებზე გადადის, ოჯახში კი დასაზოგადოების საკუთარ ქონებით, უფროსობს და განაგებს დედა, მხოლოდ თავისი დების ზედამხედველობის ქვეშ. მალაელის მემკვიდრე კარგავს მემკვიდრეობითი უფლებას და ქონება დედის ძმის შვილის სასარგებლოდ რჩება. აფრიკაში ნულიელების ოჯახებში, როგორც სხვა იქაურ მცხოვრებ ხალხთა შორის, მეუობის ისეთი ოჯახური ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას პირდაპირ ეწინააღმდეგება. აბუსალახის სიტყვებით, თუ ნუბიელ მეფის სიკვდილის შემდეგ ვაჟი დარჩა და აგრეთვე დის შვილიც, მაშინ ეს უკანასკნელი ხდება ტახტის მემკვიდრეთ და იგი ითვლება ნაწიელი მემკვიდრეთ. ნუბიელები თავიანთ მოღმის იღწუსებას დედის შთამომავლობით აწარმოებენ. აფრიკანელ

მცხოვრებთა უმრავლესის შორის მატრიარქალური და მისგან წარმოშობილი ზნე-ჩვეულებანი ასობობენ. ამათში დღესაც გამეფებულია დედის შთაშობელობითი ნათესაობის პრინციპი. მემკვიდრეობაზე მხოლოდ დედის ძმის მოუწოდებენ; შემდეგ უფროსი დის უფროს ვაჟს, მის შემდეგ უმცროსი დის ვაჟს, მის შემდეგ უფროს დას და დასასრულ მიცვალებულის დის შვილს—ქალს. ქონება ამ რიგად გადადის დედის შთაშობელობაზე; შემდეგ კი განსაკუთრებით ძმებზე, დებზე და დების შთაშობელობაზე...

ო და.

(შემდეგი იქნება)



მ მ ლ დ ი ა.

სულს მსუთველი
სიციხის მფრეკველი,
მე დასავლეთით დაქანებულა!
და ეს საღამო
ტურფა, საამო
პირბადრი მთვარით განათებულა.
მთელი ბუნება
და მის მშვენიება
ათას ნაირათ გადააენტილა:
ციური ცვარი
სხეული-მჭვირვალი
ზეციდან უხვათ გადმოდენილა...
მდელო მიბინით,
წყარო ტიტინით
ტკბილ ჰარმონიათ გადაქცეულან,—
ვარდ-წამბახ-ია,
ტუხტი გულ-ლია
ირგვილი სურნელათ მიმოფრეკეულან.
გვირგვინოსანის
ფრინველთ მგოსანის
ჩანგი უცხო ხმით აედლებულა
და ქაისი გული—
დამწვარ-დაგული
იმასთან ერთად აჩქაროლებულა!...
სატრფოვ ღამბაზო,
ნარნარო, ნაზო,
ოცნების ზღვაში მეც მსურ შევეცურო!
და შენს მკერდზედა
ბროლო-ფისალზედა
მსურს შეგების ცრემლი უხვათ ვაპურო!
მაშ, მოდი, ტურფავ,
ჩემო სულისთქმა!
უმწონო გული არა მშვიდდება...
და ეს საღამო
ტურფა, საამო
მხოლოთ-ლა შენსკენ მომეხილება.

დ. თურდოსპირელი.



ქალთა საკითხი

(პოლ ლაფარგისა)
გაკვეთება

III

ის საუკეთესო ორგანიზაცია, რომელიც ბუნებამ დედაკაცს მიუსაკუთრა და რომელიც უზრუნველყოფს მისი სიცოცხლის ნიჭიერებას, ალბათ, იმით იბნენება, რომ იგი ასრულებს შთაშობელობის წარმოშობის როლს. ეს როლი უფრო ხანგრძლივი და დამასუსტებელი ვიდრე მამაკაცისა, რომელიც მხოლოდ განისაზღვრება ხორცშესხელობითი აქტით. და ეს იმ დროს, როდესაც დედაკაცის ფუნქცია იწყება და გრძელდება ამ აქტიდან, შემდეგში კი ის რამდენიმე თვეს ორსულათ არის დივივე ფუნქცია გრძელდება მშობიარობის შემდეგაც: ენდური დედები სრულ ორ წელიწადს და უფრო მეტ ხანსაც აწივებენ ძუძუს თავის შვილებს. ცხოველებთა დარგში მამალს ხანდახან ძვირათ უჯდება თავის ურგებლობა: დედალი ფუტკრები შეერთების შემდეგ ხოცვენ მამალ ფუტკრებს და მამალი ობობა კი იძულებულია დროზე უშველოს თავს და გაექცეს დედალს, რომ ამ უკანასკნელში არ ანანოს და არ შთანთქოს იგი, მით უმეტეს, რომ დედალი ობობა უფრო მსხვილი და უფრო ძლიერია მამალზე. ბაბილონის საკიდელები წლის თავის დღესასწაულობის დროს „Mylita Anaitis“ მსხვერპლათ სწირავენ მშვენიერ მონას, რომელიც, ვიდრე მას დაკლავდენ, უნდა შერიგებოდა თვის მხევედარს კერპის წინ—რომელიც წარმოადგენდა ასირიის მღერათას. ეს სისხლით განბანილი — რელიგიური ჩვეულება, ჩვენ გვგონია, რომ საკიდელებს ანაზონელ ჩვეულებიდანა აქეთ გადმოიღებულა.

ველური და ბაზაროსული ცხოვრება უფლებას აძლევს დედაკაცს გაავარჯიშოს და დაიცვას თვისი გონებითი უადრესობა, რომელიც მინიჭებული აქვს მას დაბადებდან. თვითულ სქესს თავისი სპეციალურ ფუნქცია უკავია. და აი აქ იწყება შრომის დაყოფა-განაწილება. ავსტრალიელის აზრით, მამაკაცმა, რადგანაც მას უფრო ძლიერი აგებულების ძვლები და ძარღვები აქვს, უნდა „იბრძოლოს, ინადიროს, თევზები დაიჭიროს და მოიხსენოს“—და ეს იმიტომ, რომ დანარჩენი მოქმედება შეადგენს დედაკაცის მოვალეობას და ეს მოვალეობა ხელს უწყობს მისი აზროვნებით მოქმედების გავარჯისებას. მისი მოვალეობაა განავოს საზოგადო სახელი, სადაც ზირობათ ასზე მეტი სული სცხოვრობს: ის კერპავს ნადირის ტყავის და სხვა აშვეარ მასალისა-

გან ტანისამოსს, უფლის ბაღს, ხელს უწყობს შინაურ საქონლის მოწოდებას, აშხადებს ოჯახისთვის საჭირო ნივთებს ქურქებს და სხვა აშვე დროს ცდილობს რაც შეიძლება მეტი ქონება შეიძინოს, იძლევა განკარგულებას, აშხადებს საილო-ვახშაჟს, აწაწილებს მთელი წლის მოვაროვილ მწვენილფულობასა და ხორცის საწოვავს. მსგავსად სკანდინავიელ ვალკირიებისა და ლიოროსის პერიოდთან დაშთენილ ბერძნების კარებისა, ის აცილებს ბრძოლის ველზე მხედარს,— უფლის მას ბრძოლის დროს, უფლის და პატრონობს დაქრისებს. დედაკაცის აშვეარი დახმარება ისე ძვირათ ფასადა, რომ, ტუციტის სიტყვით, ბარბაროსთ, როდესაც ისინი აშვედრდენ ვესპასიანელების წინააღმდეგ ცივილისის წინააღილობით, ებრალეობდა რომაელი ჯარისკაცები, რადგანაც მათ ბრძოლის დროს დედაკაცები არ მისდევდენ. პლატონი, მსგავსათ იმ რჩეულთა, რომელთაც უნდა გამოეყვლიათ საიდუმლოებანი ელფეზირასი, რომელმაც ბევრი რამ იცოდა პირველ დროს ზნეჩვეულებიდანა, აიძულებდა დედაკაცებს დასწრებოდენ მის „რესპუბლიკანურ“ ბრძოლას. ეს მრავალრიცხოვანი და სხვა და სხვა გვიანის ფუნქციები, რომელიც აიძულებდენ დედაკაცს ეფიქრან ყოველისფერზე, გამოენგარიშნა, შეეცდინა წინასწარი აზრი მომავალზე, აუცილებლივ ხელს უწყობენ მისი გონების გაავარჯიშებას, თვით კინაოლოგებიც კი სულ მცირე განსხვავებას ხედავენ ავსტრალიელთა, წითელ კანიანთა და ზანგების ქალ-კაცთა თავის ქალის შორის და აშვე დროს კი ისინი ამტკიცებენ, რომ ეს განსხვავება შემდეგში უფრო და უჯრო შესაშინევით მატულობს განათლებულ ხალხში. უდარდელ და წინდაუთუდავ ევლურის აზრით, დედაკაცი რადაცა მოწინებებს წარმოადგენს, ის არის კეთილ-გონიერი წინდახედული არსება, რომელიც თვით დაბადების დღიდანვე სიკვდილომდის ზარუნავს მის (მამაკაცის) ბელიდლაზე. პირველ ყოვილ ადამიანის რწმენა ყვრდნობა ყოველ დღელურ მოვლენისა და მისგან მოხდენილ შთამქედლილების საფუძველზე, ამიტომაც მამაკაცმა უნდა აღუებრათ დედაკაცი. ბერძნები და რომალები უძველეს ეპოქაში თავის სვედებდ ანლობდენ ლმერთას—Parcae, რაც ლათინურ ენაზე ნიშნავს „ხელმოქვიანებს, ეკონომს“, ხოლო ბერძნულთა—ხედოს, რომელიც ნადავლის ან საქლისი განაწილებლის დროს ადამიანს წილათ ვრგება.

უკეთეს მდიარ და პოეტურ მითათა ლოგიკურ ბერძნებს გაკანთავისუფლებათ იმ

სიმბოლიურ, ალგორითულ და მისტიკურ მოძღვრებისაგან, რომელშიაც ისინი ჩა-
 ადგეს ალექსანდრიის ეპოქის ფილო-
 სოფემმა და კლასიკურ პოეტებმა, და
 შემდეგ კი ნემეტების, ფრანგების და ინ-
 გლისელმა მითოლოგებმა უფრო აუროსის
 მით გზა-კვილა, ჩვენ წინ აღიმართება
 ძვირფასი ძეგლი იმ უძველეს დროის
 ზნეწვეულებებით, რომლებშიაც დატუ-
 ლია სხონა ამ ჩვეულებისა და რომელ-
 შიაც მოგზაურნი და ანტიოპოლოგიები
 ნაივებენ მის ალორბინებს აფრიკისა და
 ახალი ქვეყნის ველურთა და ბარბაროს-
 თა შორის. ძველ საბერძნეთის მეფეები
 გვამცნევენ ჩვენ, როგორ ხარისხს მიაღ-
 წია ელლინთა (ბერძენთა) ქალ-კაცთა
 ინტელექტუალ პატრიარქალურ პერი-
 ოდამდე.—იუპიტერმა—ამ „ღმერთების
 მამამ“, როგორც უწოდეს მას პომე-
 რისმა, გვიხოდა და ესხილმა, როდეს-
 წამო ოლიმპიადამ ქალ-ღმერთები გაყარა,
 შემოიღო იქ პატრიარხის, რომელიც
 შედგენ რაუნდინგ ხანს არსებობდა
 ქვეყანაზე და გადადიოდა შთამომავ-
 ელობიდან შთამომავლობაზე; როგორც
 მთავარ დებულობს სინათლეს მზი-
 სიდან, ეგრეთვე სამეფოც გამოხა-
 ტავს თავისში ამ ქვეყნიურ ზნე-ჩვეულებ-
 ბებს. იუპიტერი, რომელიც ბარბაროსი-
 ვით თავის მუშტზე იყურებოდა (ილიად
 X, 248,) თავით მოქონდა მით,
 რომ ის ყველა ღმერთებზე უფრო ძლი-
 ერი და ამ უკანასკნელთა დასაბრუნა-
 ვით მას თან ახლდა ორი მსახური,—
 ძალი და ძალიანპრეობა, რომელიც ყო-
 ველთვის მშათ იყვნენ აესრულებინათ
 მისი ბძანება,—იმახს ან შეძლო თავის
 სუსტი გონების შეგონებით დაეკავებინა
 ოლიმპიურ ოჯახის მმართველი დედაკაცის
 ადგილი და, რომ თავისი გონება უზღ-
 ლეს წერტილადის მიეყვანა და ყოველ-
 გვარი გონებრივი ნაკლი შეეცო, გვი-
 ლის სიტყვით, მან შეირთო ცოლათ
 მეტისი,—„ყველა ქალ-ღმერთებზე და
 ადამიანებზე უფრო კვიანი“. როგორც
 ველურები და ბარბაროსები, რომ უფ-
 ძლიერათ ეყევოთ მეტისს, შური იძიონ
 და ჯერო იყრონ მათზე, უსაბავენ მეტ-
 რის ათრთოლებულ გულს, აგრეთვე იუ-
 პიტერმაც შექება მეტისი, რომ გადასუ-
 ლოთ მასზე თავის ცოლის ცბერება,
 კეთილ-გონიერება და სიბრძნე, რადგან
 ის ეს სახელი პერძნულ ენაზე ნიშნავს
 ამ სამ საგანს და ისინი შეადგენდნენ ბარ-
 ტო დედაკაცის კუთვნილებას. მაგრამ ამ
 სამი საგნის შეთვისებას ალბათ რამდენ-
 ნიმე დრო სჭირდებოდა, რომ პრემი-
 თვის იუპიტერის ცხოვრებაში მეტათ
 გულსაწვავი ხუმრობა ითაბა: მან მოკ-

ლა უშველებელი ბუღა, დაკუნა ასო-ასოდ
 და ხორცი ერთ ადგილს მოაგროვა, ზედ
 გადააფარა ტყავი და ზევიდან ცალ მხა-
 რეს შიგნეულობა დააწყო, მეორე მხა-
 რეს კი გამოხრული ძვლები და ისე მარ-
 დათ გადააფარა ზედ ქონის ნაქრები,
 რომ იუპიტერმა ვერ შეამჩნია:—შენ ძა-
 ლიან ცუდათ გაანაწილე,—უთხრა მას
 ღმერთებისა და ადამიანების მამამ.
 —ღმერთებში იუპიტერო უადრესო ყვე-
 ლა ღმერთებზე, ამოიჩინეთ თქვენთვის
 ის ნაწილი, რომელსაც გიკარნახებს
 თქვენ თქვენი სიბრძნე.—მიუგო მას გე-
 სლიანმა პროპეტემ. ამ დროს მფლობე-
 ლი ცათა, თავის თვალ გაუხადრობის
 წყალობით, წასწავდა ქონის ნაქრებს და
 ოლიმპიელებში სიცილ-ხარხარი ასტყდა.
 იუპიტერა,—როდესაც გამოხრულ ძვლებს
 დახედა,—მეტის მეტი სიბრძნისაგან აინ-
 თო (თეოგენია 53 5). ამ გვარი ხუმ-
 რობა ოლიმპიში იყო შესაძლებელი,
 რადგანაც ალბათ იმიტომ ჩადიოდნენ
 ამას, რომ მის აზროვნებას არ შეუძლია
 მეტოქეობა გაუწია დედის ოჯახისა და ქო-
 ნების გამგეობაში. იმ მალდში მდგომარ-
 ეობამ, რომელიც მოიპოვა მამაკაცმა
 თავის უხეშ ძალიანპრეობით ოჯახში და
 საზოგადოებაში, აიძულა იგი, რომ,
 რადგანაც მისი ტანჯვანი ჩვეული არ
 იყო მოქმედებითი ნიქს, ევარჯიშნა ტვი-
 ნით და მიეყვანა ის თანდათანობით გო-
 ნებრივ განვითარებამდის. დედაკაცს კი
 (ბერძენების გამოთქმით), ოჯახის ვიწრო
 ფარგალში დამონებულს, წართმეული
 ქონდა ოჯახის მმართველობის უფლება
 თითქმის არავითარი საერთო არ ქონდა
 ამ ქვეყანასთან და წართმეული ქონდა
 ყოველ გვარი უფლება—ევარჯიშებინა
 თავისი ტვინი და გონება; როდესაც
 დედაკაცი მთლათ დაიმონავა მამაკაცმა,
 მაშინ ხომ უფრო აუკრძალეს მას განათ-
 ლების მიღება, რომელიც მხოლოდ მამა-
 კაცს შეეძლო, და თუ, მიუხედავად ყვე-
 ლა ამ დაბრკოლებისა, დედაკაცს ჰქვამ
 მაინც მისწვია ევოლიუციამდის, მოხდა
 იმიტომ, რომ მისმა ტვინმა ისარგებლა
 კაცობრიობის პროგრესის თვისებებით,
 რომელიც ვადდის ერთი სქესიდან მეო-
 რეზე, როგორც ერთი რომელიმე ჯი-
 შის ქათმებს მამლის მეხებით გამოყვე-
 ბა თან დეზები და ზოგიერთ ჯიშის დედ-
 ლებს კი ევგებრეგელა ბიბილო. ამის შე-
 სახებ დარეინი ამბობს, რომ, საბუნდო-
 როდ, ერთგვარი გადაცემა ორივე სქეს-
 თა შორის შეადგენდა ქვეწარმეობათა
 საზოგადო კანონს; სხვათაგან კი მამაკა-
 ცი ზღლია იდგებოდა დედაკაცზე გონე-
 ბრივობის შხრათ, რადგანაც მამალი
 ფარშევანგრი თავისი ლაშაში ფრთებით

მალა სდგას კედალ ფარშევანგზე.
 (Пронехожденіе чловѣка, половой
 подборъ VIII и XIX). მაგრამ ამავე
 დროს როგორც ერთი რომელიმე სქე-
 სის უპირატესობა ვადდის მეორე სქეს-
 ზე, აგრეთვე ვადდის ნაკლებევენებაც.
 თუ დედაკაცმა ისარგებლა იმ განგებითი
 პროგრესით, რომელიც ალმანახი მამა-
 კაცმა, მით უმეტეს ამ უკანასკნელის გო-
 ნებითი განვითარება დაზნელებული იყო
 დედაკაცის ტვინის განვითარებით და ეს
 წარმოადგინა მისიგან, რომ დედაკაცის
 გონებითი მოქმედება მამაკაცმა მინიმუმამ-
 დის დააყენა. შინაური საქონლის მო-
 შენებელთათვის, რომელიც ცდილობენ
 რაც შეიძლება კარგი ჯიშის საქონელი
 იყოს, ისეთივე ძვირფასია საუკეთესო
 ჯიშის ფურები, როგორც საუკეთესო
 ხარები;—მამლების ჩსუბის მოყვა-
 რულნი ამავე მნიშვნელობას აძლევენ
 დედლების არჩევაში; ისინი ინახავენ
 მხოლოდ იმ დედლებს, რომელიც უფ-
 რა გულად წინსანი და დეზებობის
 არიან. კაცობრიობაზე შეიძლება ითქვას,
 რომ იმ დროიდან, როცა ის პირველ-
 ყოვლი კომუნისმის ხანიდან კერძო მე-
 საკუთრეობის ხანაში გადავიდა, იგი
 ვითარდებოდა სქესობრიობის ზეგავლენ-
 ნით და მისი ევოლიუცია ჩამორჩენილი
 იყო მეორე ნაწილის ჩამორჩენით. მამა-
 კაცმა, რომელმაც სისტემატიურათ მოუ-
 სპო დედაკაცს მატერიალური და გონე-
 ბის განვითარების საშუალება, მით უმე-
 ტეს შექმნა მისგან რეაქციონური ძალი
 კაცობრიობის პროგრესში.
 და მართლაც, უკეთეს კარგად შევი-
 სწავლით და შევადარებთ ველური
 მღვამარეობისა და ბარბაროსების პერიო-
 დებს, არ შეგვიძლიან არ შევამჩნიოთ
 ადამიანის კუთვნილების მუდმივი პროგ-
 რესი, რადგანაც აქ მამაკაცები და დედა-
 კაცები, იჩენენ რა თავის გონებრივ და
 სხეულის ნიჭიერებას, ერთგვარად უწყო-
 ბენ ხელს გარეგნობითი შეხედულების
 განვითარებას. ეს ევოლიუცია იგვიანებს
 იმ დროიდან, როდესაც კაცობრიობა
 დგება ცივილიზაციისა და კერძო საკუთ-
 რების პერიოდში, რადგანაც დედაკაცს,
 თავის შეცნობრებულ და დამაბრკოლე-
 ბელ მღვამარეობით, აღარ შეუძლიან
 ხელი შეუწყოს გულმოდგინეთ ამ ევო-
 ლიუციას. ის ჩამორჩეული უმოძრაო
 მღვამარეობა, რომელიც ავგრ 1000 წე-
 დიწინაზე მეტია ჩინეთში მეფობს, აიხ-
 სნება დედაკაცების ხშირი სიკვდილით.
 ჩინელთა ბარბაროსობამ იქამდის მიახ-
 წია, რომ მათ იმ მიზნით, რომ დედაკა-
 ცები უფრო უარეს ტყვეობაში ჩაეღობათ,
 ფეხებიც კი დაუშინავენ. ევროპასაც

ასეთივე სენი აქვს მოღებელი დედაკაცის დამონებით. რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოცი საუკუნის განმავლობაში ის საოკრად ადგა მატერიალურ პროგრესის აღორძინების გზას და არა ამაზე ნაკლებ მეცნიერების შექმნა-განვითარება იკიდებდა ფეხს, არ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ თანამედროვე ევროპიელის ტინის უფრო უპირატესობა ქონდეს, ვიდრე კლასიკურ ეპოქის (მე-VII-დან IV საუკუნეების ქრისტეს წინეთ) ბრძნის ტინის ვიქტორ ჰუმომ, ზოლად ან ბაკალაგრაზ) ან რომელიმე ექიმმა შესძინეს თავის ტინის მთელი რიგი პოზიტიური და სხვა ამგვარი სწავლა, რომელიც არ ქონდათ არც ესხილს, არც ანაკსაგორს, არც პროტავორს და არც არისტოტელს, მაგრამ ამით არ შეგვიძლიან ის დასკვნა გამოვიყენოთ, რომ მოსაზრება და კუთხურიველებისა, ისე როგორც მათ თანამედროვეთა, უფრო მდიდარი, შორ-მჭკრეტელი და ფართო იყო, ვიდრე იმ ოცნებებისა და ათინებლების მოღმისა, რომელთაც შექმნეს თვალსაჩინო ეპოქა მათემატიკურ სწავლის აღორძინებისა, ფილოსოფიისა, ლიტერატურისა და ხელოვნებისა, — ეგზობა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია არისტოტელის ფურცლებზე და იპყრობს უფრო ნაზს და პარადიკსალურ აზრს სოფისტიკურ ფილოსოფიაში, რომლის მზგავსიც არსად მოიპოვება. სოფისტები, როგორც, მაკალ, პროტავორი, გორდი, სკარატი, პლატონი და სხვები, მიუხედავად იმისა, რომ მკირე აზისა და საბერძნეთის ვლდინნი სულ რამდენიმე საუკუნეა, რაც ბარბაროსობის პერიოდს დაახწვის. — აყენებდენ არკვევდენ და სწყვეტდენ სპირიტუალისტულად და სხვა ამგვარ ფილოსოფიურ კითხვებს. შეიძლება კიდევ ბევრი მავალითის მოყვანა იმ მიზეზების განსამარტტავათ, რაც ელობებოდა და აბრკოლებდა კაცობრობის განვითარებას, მაგრამ უმთავრესი მიზეზთაგანი კი დედაკაცის დამონება-დამორჩილება.

ბ. ბ.

(შეშლვეგი იქნება)



*) საფრანგეთში ბაკალაგრი უდრის რუსულში სიმფიფის მოწონას.

ქალთ მოვაჭრე

გაგბქეგაზა *)

— არც მამა! არც ქმარი! არც სხვა რამ ნათესავი! — ემიერებდი მე და ჩემს გულში ჯოჯოხეთის გენია ტრიალებდა. — მითხარ, მითხარ ღვთის გულისთვის, ვინ არის ეგ მოხუცი შენი, რომ ასე უსინდისოთ და ბრუტყველათ გეპქრობა? — აღელვებულად შევეკითხე ქალიშვილს.

— მეც არ ვიცი... ტირილით წარმოსთქვა ქალიშვილმა და ცრემლით საყსე თვალები შემომანათა.

— დამშვიდლით! დამშვიდლით. — ვანუგეშებდი ქალს. — მითხარით ყველაფერი! ნურაფერს ნუ დამიძალავთ! გამანდეთ თქვენი საიდუმლო, მიგულეთ მძით და, პატიოსნებას ვფიცავ, არაფერს არ დავზოგავ, ოღონდ გამოგიხსნათ ამ გაქირვებისაგან! უკანასკნელათ გაძლვეთ სიტყვას, რომ თქვენ დღეიდან განთავისუფლებული იქნებით მავ მოხუცისაგან, მისი ბიწიერი ხელი ველარ შეეგება თქვენ ახალგაზდობას და მისი გასისხლიანებული თითები დღეიდან ველარ დაიწყებენ ფთურს თქვენ ნორჩ გულში.

— მაშ ვერწმუნო თქვენ სიტყვებს?!

— ტირილით შემეკითხა ქალიშვილი, — უკანასკნელათ კიდევ ვცდი ბედს და იქნება დმერთმა მომხედოს და მართლა გავთავისუფლდე! მაგრამ მერე, რომ მოხუცმა შური იძიოს და უფრო უარეს დღეში ჩამაყენოს? მაშინ? მაშინ როგორლა მოვიტყე? ვის მიემართო? სად უნდა მოგახოთ თქვენ! ხომ ერთხელ და სამუდამოთ ვიქნები დატყვევებულ-დამონავებული და არსაიდან ხსნას აღარ ველირსები! არავითარ შურისძიებას აღარ დავბრძობა ეგ მოხუცი, ღორივით გამომღადრის ყელს და ჩემს ხორცს ძაღლებს მიუყრის საღორდნათ! არა! არა! მეწმინან, მეწმინან! ვერ ვიზამ ამას! ღვთის გულისთვის, ნურც თქვენ დამნდუბავთ: ვიცი შემდეგში მოხუცს ველარ გადურჩები და უფრო სავალალო და უფრო უარესი დღე დამადგება! —

— სასოწარკვეთილო! მხდალო! მშინ-შარავ! აღელვებულმა მიემართე მტირალო ქალიშვილს, — როგორც გატყობ ისევ ამგვარი ცხოვრება გირჩენიათ და მეც ხელ არ შეგიშლით! შენ კარზე მომდგარია სრული თავისუფლება და თქვენ კი ამ თავისუფლებას წიხლსა კრავთ. შეუპყრინხართ რალაცა სულელურ შიშს და ნამუსიან ცხოვრებას უნამუსო და გათახსირებულ ცხოვრებას რჩეობთ. უკა-

ნასკნელათ მოგებართვით და გთხოვ გადარტით მიმასუხოთ: გასურთ თუ არა თავისუფალი და ნამუსიანი ცხოვრება?!

— მსურს... მაგრამ... მოხუცი?! — ათრთოლებული ხმით შემეკითხა ქალიშვილი.

— ნუ შიშობთ! — მიუგე მე, — თქვენ ოღონდ მოიწადინეთ და ერთხელ და სამუდამოთ იქნებით განთავისუფლებული და არავითარი საფრთხე ან განსაცდელი არ მოგელისთ მომავალში მავ მოხუცისაგან! დამერწმუნეთ, რომ ერთხელვე და სამუდამოთ ავცდებთ ის გასაქარი, რომელშიაც ეხლა ხართ. მხოლოდ, როგორც გითხარით, ნუ დამიძალავთ ნურაფერს, ამისხენით ის მიზეზები, რამაც ჩავადლოთ მავ მოხუცის ხელში და გამოგატანიათ თქვენი საყსოთარი სხეული ბაზარზე საფაქროთ.

— მაშ კარგი! გეტყვით ყველაფერს! არაფერს დამიძალავ! გადაგიხსნით ჩემ გულს და დავანახებთ რა უკურნებელი წყული მამქს გულზე, — ამოხვრით წარმოსთქვა ქალიშვილმა და თავშალის კალთებით მოიწმინდა თავისი ცრემლიანი თვალები, — აი, ყური დამიგდღე და მე ვცდებდი, რაც შეიძლება დამწერილებით ვადმოგცეთ ყველაფერი! მერე თქვენი იცით და თქვენმა სინდისმა, — ამოხვრით დაუშაბა ქალიშვილმა და განაგრძო.

— ჩემი სამშობლო ქვეყანაა — ჩერნიგოვის გუბერნია, სოსნიცის მაზრა და ვოლინის თემი, თვითონ კახკის შთამომავლობისა ვარ და სახელათ მქვინა ალათია კარპოვნა ოდელინა. სამშობლოში მყევანან დედაბა, მძებე, დები და დიწულებიც. ჯერ ისევ ცამეტო წლისა ვიყავი, რომ ჩემმა მშობლებმა ჩამოიყვანეს ქალაქ კიევი და მომათავსეს ერთ პატიოსან მანდილოსნის კას ოჯახში, რომელსაც ჩვენები კარვაი იცნობდენ, დარბაისელ. და პატიეცემულ მანდილოსანს — ჩემს ქალბატონს ყავდა ერთი ვაჟიშვილი, რომელიც სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე უნივერსიტეტში და ერთი ქალიშვილი, რომელიც შემდეგში მითხოვა ამიერ კავკასიის რკინის გზის სადგურ აღსტავის უფროსს ბ. ვიშნევსკის და ეხლაც აქ — აღსტავაში ცხოვრობენ. მე ჩემი ქალბატონის სახლში ისე ვცაბობდეთ თავს, როგორც ჩემი დედაბის ოჯახში, გაგყებით უყვარლი ყველას და შვილსა და დასავით ვეცადი მიღებულთ. ასე ვიწებოდი 15 — 16 წლისა, როდესაც ჩემი ქალბატონი გადაიცვალა და დავაჩი მე და მისი ვაჟიშვილი. ჩემი განკარგულებაში იყო მთელი ცხრა ოთახი და მთელი რიგი მოსახალატოებისა. რომელნიც „ბარბინას“ შეძახდენ. ჩემი

*) იხ. „ქორწინება“ № 2.

ქალბატონის ვაიტიშვილიც სამზღვარ გარეთ წავიდა სწავლის ვასაგრობით და ამოდენა სახლში მარტო მე და მოსამსახურეები დავრჩით. ჩემმა ქალბატონის წვილმა სრული სამი წელიწადი დაყო სამზღვარ გარეთ და ამ ხნის განმავლობაში არ შევიწყვეტია მიწერა-მოწერა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შინაურ საქმეებს ეხებოდა და ოჯახის მდგომარეობას აღწერდა, შემოსავლის მიუღწილს უგზავნიდი მას და ჩემთვის მხოლოდ მცირე ოდენს ვიტყვებდი. როცა ჩემი ბატონის შვილი სამზღვარ გარეთიდან დაბრუნდა, მე ექვსებოდი 18—19 წლისა, და, მართლაც, — მასაკეში მოსულ იმ მოწყვეტილ ვარსკვლავს ვგავდი. ფუფუნებაში აღზრდილს და განებვირბულს მამშვენიერად ქაბუკური სახის გამოქვეყნებებსა და კლემამოსილებს. ანა ერთხელ და ორჯერ მირჩიეს ჩვენმა საზოგადო ნაცნობებმა, როგორც მაკალითად, მოხუცმა სახლის ექიმმა და ჩემი ბატონის ამხანაგმა იურისტებმა და ექიმლებმა, რომ ესედავე თავი გამწვანებია სუყველადფრისთვის, რადგანაც შესაძლო იყო ჩემი ბატონის შვილი მოხიბლულიყო ჩემი სილამაზე ახალგაზღობით და შევეკლინე, მაგრამ იმდენათ ვიყავ მასთან, როგორც ძმასთან, დაახლოებული, ბული, რომ არ უმაღავდი რასაც სხვები მირჩეოდნენ და ისიც თავის მხრივ შეტყუდა ხოლმე.

— რას სულელობს? მე და შენ, როგორც და ძმანი ერთად აღვიზარდენით და ნიუ თუ ან შენ და ან ჩემ თავს ნებას მოვცემ, რომ რაიმე ტული რამ განვიძრახო გულში და შევამთხვიო რასაც? — ხომ იცი რომ შენს მეტი არავინ არის ჩვენ ოჯახში და შენ რომ წახვიდე, ვინდა უპატრონებს ან სახლს და ან კარს?! ასე გადიოდა დღეები. ასევე ჩამოჩინებდნენ მისი ამხანაგები და მახუცი ექიმი, —

— გომა! გირჩევთ სახლში, შენს სამშობლოში წახვიდე, თორემ ბოლოს სინანულათ გადაგექცევა ამდენი ხნის სიამეუნება, რადგანაც ეს სირცხვილის ვაშლი, შენზე ჯვარს არ დაიწერს და ბოლოს იძულებული გახდები ვისმე გათახსირებულ, ან ლოთს გაეყვ ცოლათ. — მაგრამ მე ეს სიტყვები არ შევტროდა და ისევ განვივარძობდი ამ ოჯახში ცხოვრებას და არაფერს უშალოდი ჩემ ბატონს. გადიოდა დღეები. ჩვენი დამხურო სიყვარული სულ რაღაცა სხვა გობა ნობად იცვლიებოდა. ორივეს გული რაღაც საიდუმლო განზრახვებით იყო

მოკული. რაღაცა ძალი გვაფტოვანებდა ორივე ჭაბუკს და სისხლი ძარღვებში დათარეშობდა. როდესაც ჩვენი თვლებში ერთმანეთს შეხედებოდნენ ხოლმე, რაღაცა უშრეტული ეცხლი ელვარება მათში და უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდით, — მაგრამ... სირცხვილი გვწვავდა და ერთმანეთს ვერაფერს უბედავდით. ბოლოს...

სიქაბუკემ თავისი ლელა გაიტანა და... დავორსულდი..

ესლა კი მიგხვდი, რომ მოხუცი ექიმის რჩევა და ჩემი ბატონის ამხანაგების და ნაცნობების დარიგება სინამდვილე — იყო ეს. საშინელმა მწუსარებამ მოგვიცკვა ჩვენ ორივენი, — და რადგანაც ჩემ ბატონს ვაგიყებთ ვუყვარი აპსათანავე მისთვის უპატიოსნება იქნებოდა ქუჩაში გამოვედგე, გადასწყვიტა — გამოვეგზავნე საღურა აღსტავაში თავის დასთან მოსალოგინებლათ და შემდეგ, როცა მოვილოგინებდი, უკანვე დაბრუნებულიყავ.

შვიდი თვის ორსული ვიყავ, როდესაც ჩემმა ბატონმა მიმიყვანა კიევის საღურაზე, ამიღო მეორე ქალის ბილეთი. თავის დის სახელზე ფორკლთს ორასი მანეთი გამოგზავნა და მეც ხელში წვრილათ სახარჯო მომიცა და თან წერილიც გადმომცა თავის დასთან, საცა სხვათაშორის აღწერდა — ჩვენ გიყურ სიქაბუკის გატაცებას და სთხოვდა თავის დას, ისე ეზრუნა ჩემთვის, როგორც თავის საკუთარ შვილისთვის და დისათვის; სამაგიერო პატივისცემის გადახდას პირდებოდა და დამედებულ იყო, რომ მე ისევ მალე დამაბრუნებდნენ სრულიად განთავისუფლებულს.

1908 წლის ივლისის თვე იყო, როდესაც მე საღურა აღსტავაში მოვედი და საღურაზე შემომგებნენ ქანი ვიშვეესკისა თავის ქმრით და შვილებით, რომელთაც იცოდნენ, რომელ საათზე უნდა ეყოფილიყავ აღსტავაში. როცა მათ გამოტანებული წერილი გადავეცი, ცოტა არ იყოს არ, ესიამოვნა ჩვენი ამ გვირი გატაცება და ჩემს ბატონს საყვედურიც კი უტყვნეს. მე კი ყოველგვარ დახმარებას და შემწეობას დამპირდნენ.

თავისთავა კვადით, რომ ორსულ ქალზე ხანგრძლივი მოგზაურობა ძალიან მოქველობს და ჩემმა ერთი კვირის მოგზაურობამაც თავისი გავლენა იქონია ჩემზე, წელში და მუცელში საშინელი ტკივილები ვიგრძენ და ჩემი ყვითლის მყოფელი ქალი იძულებული შეიქნა ერთი კვირის შემდეგ ჩამოვეყვანე თფილისში და მომთავსა სამშობლოარო სახლ-

ში, დამიჭირა კერძოთ ბებია ქალი, დაავალა ჩემი ყურის ვდება. რამოდენიმე დღე დაპყო ჩემთან და შემდეგ კი დაბრუნდა აღსტავაში და ჩემზე მზრუნველობა და მზრათ ნახვა მიანდო გრბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებს თავის ნაცნობ ვინმე ხარბობებს (რომელნიც მას შვილებს უნათლავენ) და ჩემი ბატონის ნათლიას ქან ბიკლავას, რომელიც მაშინ ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრობდა თავისი შვილებით.

მე ტკივილები უფრო მიორკვედებოდა და აღწვდი თვეზე ექიმებმა ვადასწყვიტეს ოპერაცია ვაგეთეობინათ და ისე ვავენთავისუფლებნეთ ტკივილებისგან და მშობიარობისგან.

მიმინო.

(შემდეგი აქნება)

ბანსხალეხანი

ახლათ გაღებულათ კაფე

„ლონდონი“

უკრავს ყოველ-დღე დილის 12 საათ. შუადღის 3-მდე და საღამოს 6—12 ნახ. საათამდე, პირველათ ახლათ გამოგონილი ელექტრონის საშეაღებით, სტრუნის ორკესტრი. აქვე შეგიძლიათ შეუცუთოთ ხელმისაწოდამ ფასებში ახალი და სუფთა საქმელები, აგრეთვე ყავა, ჩაი, შოკოლადი, მჭონი, მაროქნი, ლუდი ადგილობრივი და შემოტანილი; სხვა და სხვა ზატესკეულობა: ბუტყბოდი, პეროკევი და პიროკევი. საუკეთესო სისუფთავე და კარგი ზრდილობიანი სამსახური. სასადილოს წინ ბალი შადრეისი. გოლოგინის ქუჩა, მანათაშევის სახლი № 6, საბრანის ქვეშ. — აქვე იტდება ხილულობისა და მინერალური წყლის საუკეთესოთ მოწყობილ ქარხნებისა — მ. ე. ლიდიხისა და კობა.

პატეისრემით ნეფარიძე და ახს:

ბალი-რესტორანი ახს.

„ЮЖАНЕ“

(სამხრეთელები)
დგორკოვის ქუჩა, თავად-აზნაურობის საზაფხულო თეატრთან — ბაღში. ყოველ დღე დაუკრავს დღისით 2—4 საათამდის და საღამოს 9—12 საათამდის თფილისის საზაფხულო თეატრის საობპრო ორკესტრი ბ-ნ ფ ლიევის ხელმძღვანელობით. სადილო ორი ლიუდიდან შემდგარი ელირება — 60 კაპ. 3-დან 80 კაპ. 4-დან — 1 მან. აქვე არის საქმელების სია და პრეისკურანტი ყველანაირის საგანებისა. ფასება ხელმისაწვდომია. (7022 8—9)